

# მათრასი

## სახუმარო გაზეთი

კვირა, 7 სექტემბერი 1908 წ.



### № 2



### სამი გმირი.

სამშობლო კერა კვლავ დვივის, კვლავ ეხვს მამულს გმირები, შორს მწვერუტელობით მტერთსა გაძლიერებადკვირები.

ვითა ავთანდილ, ტბრიულ და ფრიდონ სლვათა მწერობელი,

სამია, სამნივ ზეცერბურგს თვალ-უერთა მიმწვერობელი..

მუნით ელიან გმირები მამულის აუგავებსა, „საფუთო კანეიკებით“ ნავთ-საუფელთა გებასა.



წავიდნენ... ბევრი იარეს  
თანსძობითა და ძმურათა,  
თავს არ სოკავდენ გძირები  
ერთ-ერთის დასაშურათ.

მაგრამ არ სძინავს ეშმაკსა,  
სურს გძირთა ვადაკიდება,  
სურს დაახელოს ბორბტმა  
ჩვენი საძობდლას დიდება.

შავი ქვის გძირსა წაჭკიდბ  
შავი ზღვის დევი ბაუ-ბაუი,  
ჩააქაჩრინა ერთ-ერთი,  
საქმე დაძარბთა სჯავი.

ვახადავბირა ფრიდონიც,  
დასვა ოცნების აძარბა,  
საფუთო ბუხმა იხელთა,  
ვაჭკვეთა ცისა კაძარბა,

და დაგვიტოვა გძირები  
ზირ-ჩაღბა-გამოვლებულბ,  
შესტირის წიბთურასა  
ფოთისა ბუსტი ქებული.

ტარანა.

ზირველი წლის თავი

ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებისა.

კვირას 31 აგვისტოს, მთაწმინდის ეკლესიის  
გალავანში ილიას ხსოვნის პატივ-საცემლათ დიდ-  
ძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. განსვენებუ-  
ლის საფლავი მწვანე ტოტებითა და ყვავილებით  
იყო შემკული.

წირვის შემდეგ, გურია-სამეგრელოს ეპისკო-  
პოზმა ლეონიდემ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და  
უსაყვედურა ქართველ საზოგადოებას ის გულ-გრი-  
ლობა, რომელიც ამ უკანასკნელმა გამოიჩინა ილი-  
ასადმი. ის წუთიერი ვატაცება, რომლითაც მიე-  
გებენ ილიას ფონდის საქმეს და ბოლოს კი დავიწყ-  
ებას მისცეს თავისი დაპირება. დასასრულ, თანახ-  
მათ-ქართული ანდაზისა „მადლი ჰქენ, მარლიც  
მოაყარო“, ყოვლად სამღვდელომ თავის „მადლს“  
იმდენი მარლი მოაყარა, რომ მდაბო ენით თუ  
ვიტყვი, სიტყვა კიდევაც გადააღლაშა. ეს ჩვეუ-  
ლებრივი შემთხვევაა, როცა ადამიანი თავის სიტყვებს  
სავსებით გრძობას უმორჩილებს ხოლმე და ამი-  
ტომ ყოვლად სამღვდლო ლეონიდესაც მიეტყვება.

პანაშვილის შემდეგ, წინააღმდეგ საერთო მო-  
ლოდინისა, მხოლოდ ერთად ერთი სიტყვა წარმოს-  
თქვა, ბ-ნმა ალ. მდივანმა. სამწუხაროთ ჩვენ არა  
გვაქვს შეძლება მდივანის სიტყვის შინაარსი გავაც-  
ნოთ მკითხველებს, ვინაიდან ვერ გავაჩჩიეთ ჩინურ-  
სა თუ არაბულ ენაზე ლაპარაკობდა ბ-ნი ორატორი.  
ყოველ-შემთხვევაში ის კი შეიძლება დანამდივლ-  
ბით ითქვას რომ ქართული არა ყოფილა.

ბ-ნი მდივანის სიტყვის შემდეგ ხალხი დაიშა-  
ლა.

\* \*

(რუსულიდან).

გახსოვს თუ არა, როცა ურაიეროს  
ვეთხოვებოლით დღის დასასრულსა?  
სალამოს ქეკამ გაიხმაურა  
და მღელვარება შთაგვიდგა გულსა;  
მაშინ სხივები უკვე ჰქრებოდა,  
სკლათ ედებოდა ღრუბლები ზღვასა,  
ქეკა სისწრაფით გახსლტა არეში  
და ლესკრულს იქეთ შეაკვდა ხმასა!..

დღის შრომის შემდეგ ეხლა მე ხშირად  
შენზედ ვოცნებობ, შენ მაგონდები,  
მოხეტიალე უდაბურ წყლებთან  
სალამოს ქექას კვლავ უკვირდები;  
და როს ხანდახან, დრო გამოშვევით  
ყრუთ მხდის ხნიერი წყლისა ტალღები,  
მე ვსტირი... მარად ვიხრჩობი სევდით  
და მათთან სიკვდილს შევენატრები!..

რ. ლეჩხუმელი.

ხოლერის მოღვაწეობა.

თუ სააგენტოს ცნობებს დაუჯერებთ, ოთხი  
დღის განმავლობაში ე. ი. 30 ენკენისთვიდან  
2 სექტემბრამდე რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში  
ხოლერით ავთ გამხდარა ათას, რეას ოც და ათი  
(1830) კაცი. ამათგან მომკვდარა მხოლოდ ექვსას  
ორმოც და-თოთხმეტი (654).

ამავე ხნის განმავლობაში ადგილობრივი გა-  
ზეთების ცნობებით თფილისში ავთ გამხდარა ხო-  
ლერით ოცდა რვა კაცი, რომელთაგან მომკვდარა  
მხოლოდ სამი.





# ახალი ამბები

**სამშობლო ტეხნ. კა.** ერთ-ერთ ხონელ ვაქარს მოუგონია სრულიად ახალი სისტემის სასწორი. განსაკუთრებული ღირსება ახალ გამოგონებულისა მდგომარეობს იმაში, რომ რამდენსაც ნაკლებს უჩვენებს საქონლის ყიდვის დროს, იმდენათ მეტს აჩვენებს გაყიდვის ემს. თუ ეშველა რამე ჩვენს ვაჭრობას, სწორეთ ახლა.

**სამშობლო მეურნეობა.** მშვიდობით მიწის საკითხო! ადგილ-მამული ახლა ვისაც უნდა იმას ქონდეს. ოჯახის გამოსაკვებათ საკმარისია სულ ერთი საყენი მიწა. ერთი საყენი მიწის შუაგულზე ამოიღებ ორმოს და ჩარგავ შიგ ერთ მარცვალ ხორბოლს. მარცვალი გაღვივდება, ამოვა. თითის სიგრძე რომ გაეზრდება წაყური მიწას და ერთის ალაგას სამი ამოვა. პატარა ხანს შემდეგ კიდევ წაყური და თიფოზე სამ-სამი ღერი ამოვა. ამგვართ ოცჯერ რომ მიწა მიაყარო ერთი მარცვლიდან მიიღებთ 74,401,740,327 ღეროს თითო თავთავით. ეს სულ მხოლოდ ერთი საყენის მეოთხედზე. ხორბლათ რომ ვიანგარიშოთ, ერთი მარცვლიდან მივიღებთ 160288 ფუთს. ასეთი სასწაული ჯერ ივანე როსტომაშვილის მეტს არავის მოუგონია. თანაც ამ წესით აღზრდილს პურს მარცვლები ნესვის ოდენა ეზრდება, ხოლო თავთავი არა უმოკლეს შვიდი არშინისა.

**სამშობლო ლიტერატურა.** ცნობილი მწერალი ტიტ. ართმელაძე, ქართულ „სიტყვა-კაზმულ ლიტერატურას“ ძვირფას განძს უმზადებს. მას უკვე დაუმთავრებია შესანიშნავი რომანი ამ სათაურით: „საჭიროა თუ არა თმის გაკრეჭა გურული ქალებისათვის, და შეესაბამება თუ არა ცნობების მიმდინარეობის თვალთა ხედვის ისარს დღევანდელ ვითარებისას, რომ ჩვენი ქალები აფიცრებენ ბოიკოტს უცხადებენ და საზოგადოთ მიმართულებას ამწვაგებენ, წინააღმდეგ გამარტივებისა და ელფერის დაკავშირების მისდამი“.

როგორც სათაურიდან დაინახავთ, ნაშრომი მეტად საინტერესო და მასთან მარტივი ენით დაწერილი დარჩება. ვგონებ ეშველოს რამე ჩვენს დაძაბუნებულ სიტყვა-კაზმულ მწერლობას.

**სამშობლო ხელოვნება.** ქართული სცენის დაჩაჩანაკებაზე არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი, თუმცა ულაპარაკოდაც ეს ყველასათვის ცხადი იყო. მომავალ სეზონისათვის ჩვენი აფილისის დასი დღე სამზადისშია თურმე. ყოფილი რეჟისორი ბ-ნი ვალერიან გუნია (უკაცრავათ მკითხველებთან!) კვლავ წინ გაუძღვება ქართულ ხელოვნების ტაძარს და კვლავინდებურათ განცვიფრებაში მოიყვანს ქართველ საზოგადოებას.

ამის თავედგია აგრეთვე ისიც, რომ დასში ჩარიცხულა ცნობილი დრამატურგი და პუბლიცისტ-კორესპოდენტი „ნიშადურისა“ ბ-ნი ტიტო-კო მგელაძე. როგორც ამბობენ ნიშადურში მოღვაწეობა იმ განზრახვითა დაუწყია ჩვენი სცენის ამომავალ ვარსკვლავს, რომ რეჟისორ-რედაქტორის თავის მოქონვით, სცენისაკენ გზა გაეკაფა. ასე ძნელია ჩვენში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა. სცენამდე რომ ამაღლდე ამისთვის საქირა პირველთა „ნიშადურამდე“ დამდაბლება!

**სამწუხარო მოვლენა.** სახალხო განათლების საქმე განსაცდელშია. მოზარდ თაობისათვის საქირა ქართული სკოლა, ხოლო ქართული სკოლისათვის საქირა ამ ენაზე მოლაპარაკე მასწავლებელი. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამეგობა ორ ცეცხლ-შუაა ჩავარდნილი. ექებენ და ვერ აღმოუჩენიათ ქართულის მცოდნე ფედერალისტი მასწავლებელი, ხოლო „იმ ერთი მიმართულებისა“ ხალერაზე მეტათ ემინიანთ.

## ს ი ზ მ ა რ ი.

არ თუ ძლივეს ხმა თავისუფალი,  
დროშა თამამად წინ მიმავალი,  
ერთ მხრით ჩაგრულთა რაზმი მძლეველი,  
იქით ძლეული ქვეყნის მტარვალი;

არ თუ გმირები, ძველად მონები  
ამიერიდან თავისუფალნი,  
მათთან სატრფონი, მათი რჩეულნი,  
კრემლ-მეშრობილი ქირისუფალნი;

არ თუ ამირან, ჩემი ოცნება,  
მის შავი ბინა, კლდე მიუვალი,  
გულ-დაფლეთილი ყვავ-ყორანებისგან;  
ღღეით მარადის თავისუფალი,  
სულ სხვა მესიზმრა:

იღუმალი ხმა,

ჯოჯოხეთური გამოძახილი  
ისმოდა ქვეყნად და მჩავერელთაგან  
იქედებოდა მწარე მახვილი!

ამირან გმირი, ჩემი ოცნება,  
სატრფო ამირან, ისევ გმინავდა,  
კვლავ ეხვეოდნენ ყვავნი-ყორანნი,  
კლდეზე მიჯაქულს თითქოს სძინავდა!..

თავისუფლების ჰიმნთა მღერალი  
შავ სამარეში იწვა მრავალი  
და ვით აჩრდილი ჯოჯოხეთური  
დაძახარხარებდა ქვეყნათ მტარვალი...

გამომეღვიძა—კვლავ კენესა-გმინვა...  
მიდამო კრემლით გადაბანილი  
ვსტყვი—რა სიზმარი? სიცხადე ვნახე  
მხოლოდ სიზმარში გადატანილი!..

იასანანი,



ზ ლ ვ ა ს .

ზღვავე, შენ წყნარი ხარ და ხმას არ იღებ,  
 მე კი შენს გულზე მშვიდათ ვნაფარდობ...  
 არ ვეპუები მთრთოლვარე ზვირთებს,  
 შენს მოვერცხლილ გულს ვსერავ და ვაპობ...  
 ხან მარჯვნივ მივქრი, ხან კიდევ მარცხნივ,  
 დამსრიალებს მსუბუქი ნავი...  
 დავტოვე მიწა, შენ მოგებარე,  
 დავუგდე ხმელეთს დარდი მქენჯნავი.

იქ ვერ გავტელი, მომწყინდა ზღვაო,  
 უმოქმედობა და მხოლოთ ძალი,  
 შენ მოგაშურე, ზვირთების მშობელს,  
 და არ დამტოვო შენც განაწილი.

წამოიქერი, დაქექე მთა-ბარს,  
 ზვირთისა მთები შორს გადასტყორცნე...  
 ნაპირს ეტყერე, კლდე შედარყე  
 ფრიალოს გული გადაუკოცნე,  
 შორს გადმისროლე ჩემს ნავთან ერთად,  
 ქვესკნელს ჩამძირე, ზესკნელს ამაგდე,  
 და თუ შევშინდე, მოგვრათ ქცეული  
 სვავ-ყორანთ კერძათ ნაპირს გამაგდე...  
 მე მძულს, როდესაც ჩემს ნავის კედლებს  
 ეშხაუნები, ეხლები ნელა  
 და ლურჯ წალკოტში მშვიდათ მწოლარე  
 ქანაობ, როგორც ნაზი პეველა...

მე ტალღა მიყვარს, ტალღა ძლიერი,  
 ქვეყნის შემნძრევი, ლომებრ მქონიანი...  
 მიყვარს, როდესაც ელვასებრ გიჯათ  
 მთა-ბარს აწყდება ეს ჩემი ნავი...  
 ვ. მალაქიაშვილი.

მოხსენება გურული მოციქულისა.

უკუღმართ ფეხზე მომიხდა დღეს სამგზავროთ  
 გამოსვლა: მთელ ზაფხულის განმავლობაში წვიმა  
 არ მოსულა და სიმინდი ამოახმო, ეხლა კი, როცა  
 ისევ უწვიმოა ჯობდა, ისეთი წვიმა მოვიდა, რომ  
 მოსავალი მთლათ გაანადგურა. რას იზამ! ყველა-  
 ფერი გურული გლეხის წინააღმდეგ მიდის თურმე...  
**ციხე.** ხო და თუ ყველაფერი,—მაშ, რატომ  
 არ შეიძლება ზურაბ კეკელიძეც თავის შვილე-  
 ბით გზაზე მომუშავე ხალხს [თავს დასხმოდ, რე-  
 ვოლვერი დაეშინა, შემდეგ თითონვე ბოქაულთან  
 გაქცეულიყო და ორი კაცი დაექერიებინა. და  
 ეს, კიდეც მოახერხა ზურაბმაო,—ამბობენ!.. მაგ-  
 რამ, სამწუხაროთ და სვალალოთ, ჩაუღბაო!..  
 ხალხმა გზაც გააკეთა, ბოქაულს დატყვევებულე-  
 ბიც გამოაშვებინა და უკანასკნელათ ბ-ნ ზურაბს  
 თავიანთ გმირ-შვილებით, რომელთაგან ერთზე რა-

ლაც ქიათურის ცოდვებსაც ამბობდენ,—საუკუნო  
 სახსოვრათ ბოიკოტიც მიუძღვნაო!.. როგორც ხე-  
 დავთ, ზურაბ კეკელიძეს ცოტა „საჯაყი“ საქმე  
 დამართია!..

**გურიანთა.** მაგრამ, თუ ზურაბს „საჯაყი“  
 საქმე დაემართა, სამაგიეროთ მიშა ნაკიშვიდს სურს  
 თურმე, კარგათ მოაქხარაკოს მუშების მოტყუება.  
 მარა, უბედურებაც იმაშია, რომ მუშებს თვალი  
 გაუხელიათ და... ვაი თუ მიშაც განაწყენებული  
 დაგვირჩეს!..

**ჩოხატაური.** წარმოიდგინეთ, არც ჩოხატაუ-  
 რელ პარკის ვაჭრებს აქეთ გული საგულეს. ან კი  
 რათ უნდა ქონდეთ, როცა ხალხს „მაზანდაზე“ არ  
 გაუსწორდენ; მწონავი კომისიები არ მიიღეს; ასა-  
 წონი ორ-ორი კაპეიკი კი ხალხს გამოართვეს და  
 თვით იჯიბეს. ახლა ლაპარაკია სამედიატორო სა-  
 სამართლოზე და თუ შეეყვენ თავი შით.. სახათა-  
 ბალოა! არ შეყოფენ და ისიც სახათაბალოა! ორ  
 ცეცხლ შუა არიან საწყალი ვაჭრები!..

**ოზურგეთი.** ყველაფრის გამობრუნების იმედი  
 შეიძლება ვიქონიოთ, მაგრამ ოზურგეთის რეაქცი-  
 ონერების უკანასკნელი „საქმე“ რომ ხელიდან  
 წასულია, ეს ყოველ ექვს გარეშეა!.. გაიმარჯვეს  
 „კამალონიკებმა“ და ვასილს თავის კომპანიითურთ  
 არა და რა დარჩენია, თვინიერ კბილთა ღრქენისა\*).

**აკეთი.** თუ ყველა საქმეს რაღაც „ხლაფორ-  
 თი“ მოსდევს, სამაგიეროთ აკეთელ კარტოჟნიკების  
 საქმე ძალიან კარგათ მიდის. თამაშობენ მუდამ  
 დღე შეუსვენებლივ და წარმოიდგინეთ, ხანდისხან  
 ლექსებითაც შეებმინა ხოლმე ერთმანეთს! აი მა-  
 გალითად ერთი ამ სურათთაგანი:

„საყვარელო ძმაო ხოსო,  
 რას ტრაბახოვ ტყულათაი,  
 კარტის თამაში ვიციო,  
 არ გაბედო აწი თქმაი.  
 სასესხებლათ ძლივს იშონე  
 ოცდა ორი მანათაი,  
 იგი ხელათ აგალოპე,  
 მე ვახლავარ კიშოთაი!“

ასეთი შირები ხშირია აკეთის კარტოჟნიკთა  
 შორის... ჩვენ არ ვიცით, ვინ არის აქ მოხსენე-  
 ბული „ხოსო“ ან „კიშოთაი“, მხოლოთ, ყოველ  
 ექვს გარეშეა, რომ ცნობილი კარტოჟნიკები იქ-  
 ნებიან.

\*) ვერ ვეთანხმები მოციქულს  
 ამა ამბისა თხრობაში,  
 ბორბალი რეაქციისა  
 კვლავ მოვა მოძრაობაში.  
 ეშმაკი.



ასეა საქმე ჯერ-ჯერობით და ვინ იცის რა იქნება მომავალში. ყოველ შემთხვევაში, პავლე თუ კარგათ დარჩა თავის მეუღლით, ასეთი ამბების იმედი მუდამ უნდა გექონდეს...

ეშმაკის მოციქული.



**ამონაკჳმანი.**

ტურფავ, ვხედავ ლამაზი ხარ, გარეგნობით მშვენიერი, ისიც ვიცი, რომ თავიანს ვცემს ბევრი ამა ქვეყნიერი,

მაგრამ მე კი ვერა მნახავ მაგ სიტურფით ქკუა მცდარსა, ვერც მოვმართავ შენის ეშხით სასიმღეროთ ჩემსა ქნარსა.

მე მაშინ მწამს სილამაზე და ლოყები ვარდის ფერი, როს თან ახლავს ამ სიტურფეს სულიც მისი შესაფერი.

სილამაზემ თვით დაკვესოს სულიერი ცეცხლი მწველი, რომ აღეუნთო მსხვერპლათ მასვე გუნდრუკა და საკმეველი.

უამისოთ მე ვერ შევძლებ ტკბილის გრძნობით ლექსთა მღერას, არც განიცდის ჩემი გული საალერსო სიძთა ჟღერას.

შენ კი, ვხედავ, დაჩვეულხარ ეშხით თავის გასაღებას და რათ ცდილობ, რომ ეს ქნარი შენ გასხამდეს ქებათ ქებას?

არა, ტურფავ, მე სხეულში ვეძებ სულსა მშვენიერსა, მას ვუმღერი ძილის პირს და ტკბილსა მრავალ-ჟამიერსა!

ფ. რუშაველი.

**სოკიერთი ვეკილი.**

ეს ვინ მოდის მორთული? ველარ იცნობთ ვეკილსა? საპირფერო მოღვაწეს, ტყუილ მამულიშვილსა?...

თუნდ სძარცვავდეო ღარიბებს, ობოლ-ობერ-ტიალსა, ოღონდ ქანქარი მიე, თქვენენჭიწყებს ტრიალსა! იგი მსაჯულების წინ, უსირცხვილოთ ღრიალებს, ღარიბს ღუპავს, მაგრამა ფულებს ჩააჩხრიალებს!..

აბა ნახეთ, თუ სტუმრათ საღმეა მოწვეული, ვა, რა საკვირველადა ორატორობს წყეული!

რა თავაზიანია, თავ-დაქერით. ფრთხილია, რა, ვერ მოახერხებს თუ, მაშ რილას ვეკილია?!

ნამეტნავათ როდესაც, ცოტა გადაკრულია, მაშინ სანთლით დაეძებს, სადაც დაჩაგრულია:

ამობს:, მსურს გავიტანო, სიმართლისა კვალიო, ღარიბთ მფარველობაა, ჩემი იდეალიო! (!?)

ნიღაბს მოჰფარებია, რომ არავინ დასცინოს; რა შვილებს გვატყუილებს! თითქო ვისმეს ეძინოს!..

მ. ლელაშვილი.

**განცხრომის უვილს**

შე არა ვსტირი! გესმის? არა განცხრომის შეილო, და ნურც გგონია სინანულის ცრემლი დაფდვარო, სულთა მსუთავო ჩემი შრომით გამოკვეტილო, წარბს ვერ შემიხორი უღმობეულო და საზიზღარო.

არც გუფი მიკვანეს სიმამცით გამხნეებულა, თუმც დაუძინარ მტრისგან იგი ხშირად ჟნებულა, მაგრამ მასთანვე გპირული ხმით გატაცებულა და მუნ მომავლის იმედებით აღფრთოვანებულა.

თუმც ჩვენის ტანჯვით დღეს შენ სტკბები, სიამით ჰხარობ, მამრადთა ოფლით აზრ დასშული ღზინობ, ჰქეტარობ, მაგრამ მოვა დრო განწინებუბა დაგასამარებს მაშინ ჩვენც—შენსა მწარ გმინვასე გაღვიხარხარებით.

გ. ქუჩიშვილი.





საშინელი ამბავი.  
(შესტეარული)

მეგონა: გულა ქიანჩა  
კვლავ აღარ დამქირდებოდა  
და მიგდებული კუთხეში  
მყუდროებითა ტკებოდა...  
მაგრამ შეხედეთ ცხოვრებას  
რა უკუღმართად დგებაო  
გურიას კვლად ვითარი  
შავი ღღე დაადგებაო:  
ნიკოლოზ თაყაიშვილი  
სამსახურიდან დგებაო,  
ოზურგეთიდან ლეჩხუმში  
სურთ მისი გადაგდებოა...

პიი, პუუ, პიი ფუუ  
ურჩიეს წაბრძანებოა.

სოფელსა, ამის გამგონსა,  
თვალს ცრემლი არა შრებაო,  
იმისი რეჩი, იმ ზომად  
სულ ყველას ენატრებაო.  
მოსთქვამენ: ნუ თუ ჩვენი მზე,  
ასე უღროვით ქრებაო,  
ჩვენც გვყავდეს ქირისუფალი

ვილას შევსთხოვით მის შემდეგ  
ქირშიგან დახმარებაო,  
ვინ, ვინ მოსტაცა გურიას  
ასეთი ანგარებაო“

პიი, პუუ, პიი ფუუ!  
ასეთი ანგარებაო

თითონ ნიკოლოზ, ამბობენ  
პეტერბურგს ემგზავრებაო,  
რომ იქ „ბიძია სუეგორინს“  
მიართვას მოხსენებოა,  
გააცნოს დალაგებულათ  
ჩვენი მხრის ვითარებაო  
რით დაწყნარდება გურიის  
ბუნტი და მდღეღვარებაო,  
რომ თუ ის გადაიყვანეს  
გურია აჯანყდებაო,

პიი პუუ, პიი ფუუ!  
გურია აჯანყდებაო.

ოზურგეთლებიც სტირიან:  
„გვშორდება მზე და მთვარეო,  
ძაძის ჩაიკვამს, შავ-ბნელსა  
მთელი სამშობლო მხარეო,  
ნეტა ვინ დაგვქრა ყელები,  
ვინ დაგვსვა გულმწუხარეო,  
ვინ მოუწამლა ოზურგეთს  
წამები სანეტარეო,  
ვინ შეგვიწუხა ნიკოლოზ  
ჩვენ ქირთა მოზიარეო.“

პიი პუუ, პიი ფუუ!  
ჩვენ ქირთა მოზიარეო.


იქ როგორ გასძლებს, ჩვენი მზე,  
უყვარს მუცელზე გდებაო,  
გაქირვებულსა რო ნახავს  
თვალს ცრემლი მოადგებაო,  
(ან კი ღარიბი კაციდან  
ვითომ რა გამოდნებაო)...  
თუმც საიმისო არ შესწევს  
არც სწავლა, არცა ცნებაო  
გურიის ავი, თუ კარგი,  
იმისი იყო ნებაო,  
ვითა მექოთნეს, ქოთნისთვის  
ყურები გამოეგებაო.

პიი, პუუ, პიი ფუუ,  
ყურები გამოეგებაო.

ის არის ჩვენი დიდება,  
ჩვენივე საკუთრებაო,  
არ დავეანებებთ ლეჩხუმლებს  
თავი არ მოგვიკვდებაო;

პიი, პუუ, პიი ფუუ  
თავი არ მოგვიკვდებაო.





### ორი ეშმაკი.

სხვა-და-სხვა გზებით.

**პირველი ეშმაკი.** სულ ბოროტო,  
 ეშმაკისა სახით შობილო,  
 ქირსა და ლხინში  
 გამოჯეკილ-გამოწრთობილო,  
 დარიგებას გთხოვ,  
 არ გამრისხო, არ გამაწბილო:  
 რა გზას დავადგე  
 ცხოვრებაში, მარტვი ძმობილო.  
 თითონაც ხედავ  
 თუ დრო როგორ გადასხვაფერდა,  
 წახლა წერვები  
 და სურვილი ბრძოლის დაბერდა.


**მეორე ეშმაკი.** მაკვირებს შენი,  
 მეგობარო, განზრახულება!!  
 ნუ თუ არ გახსოვს  
 ქართველისა ხალხის თქმულება?!  
 იქ ნათქვამია:  
 „ნუ დასტოვებ გზასა ძველსაო,  
 ნურცა გამოცდილ  
 მეგობარზე იღებ ხელსაო“.  
 ძველთაგან, ჩვენში  
 „გზა სავაჭრო“ მხოლოდ ქებულია,  
 და რაკი იგი  
 კვალად ჩვენსკენ მობრუნებულა,  
 რაკი სოსიკო  
 მერკვილაძე მასში შებმულა,  
 რაკი წვრილ-ვაჭართ  
 იდეალით გაშუქებულა,

ჩვენი ცხოვრება  
 უკვე დამჯდარ-დალაგებულია.  
 შესდექ იმაზე  
 და იარე დაუცხრომელათ;  
 კარგია ყოფნა  
 უდარდელათ და უშრომელათ,  
 მთელი პარიჯი  
 ამ გზაზე დაფუძნებული  
 და ვალათ გვაძევს  
 ჩვენც განვკურნოთ ჩვენი მამული.

### მ ა რ ლ ა მ ს

(ნესვეთის რედაქციის გმირს).  
 რა მასხარა რამე ყოფილხარ,  
 ამოვარდა შენი ფესვი,  
 სად იშოვნე დელიყანდო  
 დასათხლეშათ მაი ნესვი?  
 ალბათ ბოსტნათ გარდაიქცა  
 რედაქცია დიდებული,  
 ერთ საზამთროს მეც მოგიძღვნი  
 თუ ვნახე მოძულებული.  
 ჯერ რეგვენო, ადრე კია  
 „ნიშადურში“ სამასხური,  
 „ლურმიშხანულ თეორიას“  
 ვერ შეიტკობს შენი ყური!  
 მეგობარო, თუ რომ გსურდა  
 მოსულიყავ ესდეთ ოხტში,  
 ჯერ პრაქტიკა შეგეძინა  
 შენს საქებარ „მქედლის ჯოგში“,  
 თორემ ისე რას გააწყობ  
 მოკუნტულხარ სადღაც ხონში...  
 მათრახის კული გქირია,  
 რომ ჩავარდე ვაჟო გონში.

შხანკოლა.



### ოსმალეთის კონსტიტუცია.

საფუძველი ოსმალეთის კონსტიტუციისა ადვილათ შეიძლება წაფერდღეს.





## სცენის მოუვარენი სოფელში.

### სოფლური სცენა.

(სოფ. ხიდისთავიდან)

სცენას დავესწარ სოფელში:  
 „დამარცხებულნი“ სდგებოდა...  
 „არტისტთა“ ჯგუფი, უებრო  
 ირთოდა-იკაზმებოდა,  
 (თუმცა ხედავდენ ეს საქმე  
 დღეს აქ არ გამოდგებოდა..)  
 ხალხი მოგროვდა „ურცხვი“  
 და ფარდაც აიხდებოდა...  
 იქ „ნიკოია ლაქია“  
 თითის ფრჩხილებზე დგებოდა,  
 „პარგამის“ მუხლის შესახებ  
 ქალბატონს ედავებოდა,  
 ქალბატონს მოწყენილობით  
 უზომოთ ემთქნარებოდა.  
 „მოზღვეებული“ პუბლიკა  
 დაჯდომას ეჩქარებოდა...  
 მაგრამ სკამს ვერა პოვებდის  
 მეზობელს ეძალებოდა,  
 მოსთხოვდა, ის არ მისცემდა,

აყალ-მაყალი დგებოდა.  
 აღელვებული არტისტი  
 სცენიდან გადმოხტებოდა.  
 დააწყნარებდა პუბლიკას  
 უკანვე ატოცდებოდა,  
 წამოიწყებდა „პარგამის“,  
 აქ ჩხუბი კვალად დგებოდა!  
 ქალბატონს მოწყენილობით  
 „ნევრები“ აეშლეოდა,  
 თვით „ნიკოია ლაქიას“  
 კუქიდან სული სძვრებოდა;  
 ფარდა ხან დაბოა, ხან მალღო  
 დაეშვებ-აეხდებოდა.  
 „ბერდიაშვილი ნიკოლოზ“  
 უზომოთ გაჯავრდებოდა!  
 „დავითი“ ცეცხლსა აფრქვევდა,  
 „ზაქარო“ ყალხზე დგებოდა,  
 თვით უწყინარი „ელსაბედ“  
 არავის ჩამორჩებოდა,  
 მაგრამ არტისტთა ბაქიდან  
 არა რა გამოდნებოდა,  
 ჩხუბი კვლავ იყო ზალაში,  
 „პუბლიკა არა ცხრებოდა“.

რეცეზენტი.



**მიწის მუშა.**

მძიმე შრომით განაწაფი,  
ცხარე ოფლად დანაწერი,  
გლტხი არის, მიწის მუშა  
და მიწისვე უმაღური.

მწარზე მწარე მისი ხვედრი  
თავსა აწევს სულს უზუთავს  
და გასაქანს აღარ აძლევს  
შეუჯაქვავს, შეუზუნდავს!

უკან წავა, — უფსკრული ძვეს,  
წინ წასასვლელ გზას უჭრიან  
და სუსხმფენი ქარტეხილნი  
ზავ-ზუზუნით თავს დაჰჭრიან!..

სვავ-სვუვი და ყვავ-ყორანი  
საზარი ხმით გადმოსჩხავის  
და წალოკტი სასოების  
მისთვის სქენება, აღარ ყვავის...

მომავალი!.. მწარ აწყყოში  
თურმე არ გაქრა სრულად რწმენა,  
მაგრამ კლდესაც ვააცამტვრებს  
მარად ტანჯვა, მარად თმენა!..

ნ. ზომლეთელი.

**სპარსეთი**

სპარსეთის შახმა, მაჰომედ ალიმ, ჯერ კიდევ ვერ მოინელა ეგრეთ წოდებული „სპარსეთის კონსტიტუცია“. პოლკოვნიკი ლიახოვისა და მის მიერ გაწვრთნილ კაზაკთა რაზმის საშუალებით მან დაანგრა თეირანში მეჯლისის შენობა, სასტიკათ დასაჯა „ურჩი დებუტატები“, აწამა ხალხის საყვარელი გმირები და ჩააცხრო თეირანის ცხოვ-



**საბდულ-ულემა-იმალიქი.**

ცნობილი სახალხო ორატორი. რეაქციის დროს შახის ბრძანებით ნაკუწ-ნაკუწ დაკეპეს და ძაღლებს გადაუყარეს.

რება, მაგრამ დახეთ უბედურებას: ლუქმა ძვლიანი გამოდგა და ქალაქი თავრიზი ყელზე დაადგა მადა გახსნილ ირანის მბრძანებელს.

თავრიზი სპარსეთის ჩრდილო-დასავლეთის მხარეზე სძევს და თეირანს შემდეგ პირველ ხარისხიდან ქალაქათ ითვლება. მცხოვრებთა რიცხვი დაახლოებით 200000 სულს უდრის და მდებარეობაც მშვენიერი აქვს.

აი აქ, ამ ქალაქში ვამაგრდა შახის რეაქციით გაბოროტებული კონსტიტუციონალისტთა ჯგუფი გაბედული მეთაური სათარ-ხანის მეთაურობით.



**სათარხანი.**

თავრიზის გმირი. რევოლუციონერ მებრძოლთა მეთაური. სპარსეთის გარიბალდათ წოდებული.

თავრიზელ რეაქციონერთა ძალა სუსტი აღმოჩნდა რევოლუციონერთა წინააღმდეგ ბრძოლაში და მრავალ-გზის დამარცხებულმა მთელი თავისი იმედები თეირანის მაშველ რაზმებზე დაამყარა.



ამ ხნის განმავლობაში არც სათარ-ხანის მომხრეები ისხდენ გულ-ხელ დაკრეფილი. თუ თავრიზიდან მიღებულ ცნობებს დავუჯერებთ, კონსტიტუციონალისტებმა ჩინებულათ გაამაგრეს თავრიზის ქუჩები, შეიძინეს ღიდ-ძალი სამხედრო სურსათი და ახალი რაზმები.

შახი სპარსეთისა ძლიერ დააფიქრა თავრიზის ამბებმა. ის კარგა ხანია კბილს იღესავე მათზე, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერაფერი გაურიგებია. მიზეზი ამისი მრავალია. უწინარეს ყოვლისა შახს აბრკოლებს ხაზინის სიცალიერე. მას არ მოეძევა იმდენი თანხა, რომ ჯარს წესიერათ ჯამაგირი აძლიოს და საჭირო სურსათი შეიძინოს. გარდა ამისა, სპარსეთი უგზო ქვეყანაა. თეირანიდან თავრიზამდე რო რკინის გზა იყოს, სულ დღე და ღამის სავალი იქნებოდა, მაგრამ დღეს-დღეობით იქ რიგიანი შარა-გზაც არ არის და მგზავრს თითქმის ორი კვირე სჭირდება.

ამ ბოლო დროს შახმა უსმინა თავრიზელ რეაქციონერთა დაღადს და სათარ-ხანის დასამორჩილებლათ გაგზავნა რაზმი პრინცი ვინ-ულ-დოვლეს მეთაურობით. ეს რაზმი კარგა ხანია რაც მიაღვა თავრიზს, მაგრამ ბრძოლის დაწყებას ჯერაც ვერა ბედავს. სამაგიეროთ თავრიზის მიდამოებში მრავლად გაჩნდნენ სპარსეთის ველურ ტომთა რაზმები, რომელნიც აუწერელ ბარბაროსობას ახდენენ უმწეოთ დარჩენილ სოფლების მცხოვრებლებზე. ყოველ-დღიური გაზეთები სავსეა, მაგალითად, გამხეცებული ქურთების მიერ აწიოკებულ სოფელეთა ამბებით. ისინი ყოვლად განუკითხავად იკლებენ სოფლებს, რაც კი რამ მოიძევება იტაცებენ, ქალებსა და ბავშვებს ან ჟღერენ, ან ცოცხლათ სწვავენ, ვინც გახიზნას ვერ მოასწრეს, ყველას ატყვევებენ და სიცოცხლეს ასაღმებენ, სოფლებს სწვავენ და ანადგურებენ.

თითონ თავრიზში შესვლას და იქ გამაგრებულ რევოლუციონერებთან შეტაკებას ეს მტაცებლები ვერა ბედავენ და მათ თარეშს არცა აქვს რაიმე პოლიტიკური მიზანი. მათი საქმეა ძარცვა-გლეჯით მეტი ღოვლათის შექმნა და უკეთეს დროს ამ სასახლო მოქმედებისათვის აბა როდისღა იმოვნოდნენ. შახის სახელით, ისინი ქვეყანას იკლებენ და ეს თითქო ნებადართულიცაა, ვინაიდან ამ ველურ რაზმებს სპარსეთის მთავრობა არავითარ სასყიდელს არ აძლევს: ისინი თავისი ნადავლით უნდა დაკმაყოფილდნენ.

ამ წინა დღეებში თავრიზს მიაღვა მაქოელეების რაზმი, 800 კაცი 6 ზარბაზნით. მაქოელეებმა მოახერხეს და შეიქრნენ თავრიზის ერთ უბანში, მაგრამ სათარ-ხანის რაზმმა ჩქარა აბრუნებია მათ

პირი. მაქოელეებმა მიატოვეს თავრიზი და მის მახლობლად სოფ. მარანდში დაბანაკდნენ.

შახის ბანაკში კი აუწერელი ამბები ხდება: მინისტრები კრივს მართავენ ერთმანეთში, შახი ავადმყოფობს, მის დასაცველათ მოყვანილი ველური რაზმები ათას-გეგარ უწესოებას ახდენენ, ხაზინა ცარიელობს, ხალხი ყრუ უკმაყოფილებას აცხადებს და შესაფერ მომენტს ელის.

ვენახოთ მომავალი რას მოგვიტანს.



### სამი სურათი.

(სამათრახო სცენები სტუდენტთა ცხოვრებიდან)

ყველაფერი ის, რასაც კვეთთ აგიწერთ, სიმართლესთან სწორია და სწარმოებს ერთ-ერთ საუნივერსიტეტო ქალაქში. მოქმედება სწარმოებს სტუდენტების საღვამში. სამი ოთახია:

პირველი,—მოზრდილი, მდიდრულათ მორთული, მარჯვნივ მხარეს დაიკავებს.

მეორე,—იმის გვერდით მოზრდილია; ისიც მდიდრულათ არის მორთული, მაგრამ შიგ ყველაფერი მინგრეულ-მონგრეულია. სტოლზე არაყით საყუბოლი და ჭიქები დგას, მეორე არაყის ბოთლს თავი წამტვრეული აქვს და იატაკზე გდია; სტოლზე სათამაშო ქაღალდი ყრია.

მესამე ოთახი,—მარცხნივ, ღარიბულათ მორთულია. ფანჯარასთან დგას ძველი, პატარა სტოლი, ზედ ლამპა ქაღალდის დამწვარ საფარით. კედელზე ძველი პალტო და ქული კილია.

პირველ ოთახში დასეირნობს და ხმამაღლა მეკადინეობს კოხტად ჩაცმული სტუდენტი სტეფანე. მეორე ოთახში ტანტუე სძინავს ნამთვარლევ სტუდენტს გრიშას. ცალი ხელი და ფეხი ძირს აქვს გადმოვარდნილი. მისი ძველი ქული იატაკზე გდია. მესამე ოთახში სტოლს უზის და მეკადინეობს მწვანე ბლუზიანი სტულ. პეტრე. მოქმედება იწყება.

#### პირველ ოთახში:

სტეფანე. (გულმოსული დაავდებს წიგნს სტოლზე) ფუი! ღმერთმა დასწყევლოს! არაფერი შედის ამ გოგრაში! ვკითხულობ, ვკითხულობ და ჯიუტი ჯოროვით ისევ იმ ალაგას ვარ. ან კი როგორ ვიმეცადინო, როცა სულ ნატაშაზე ვფიქრობ! ახ, ნატაშა, ჩემი ნატაშა! როგორც იყო ხომ ვივლდე ხელით? მაგრამ... საწყალომა რომ იცოდეს ჩემი ნამდვილი განზრახვა, ნეტა რას იზამს, ალბათ თავს



მოიკლავს. მერე რა რიგ ვუყვარვარ... მაგრამ რა ვუყოთ, ქვეყანა ტყუილებზე ტრიანლებს. ცოლათ შერთვას შეეპირდი, და ის კი არ იცის, რომ შემდეგ კი ვკურცხლავ და ვავიარები... სადაცაა კიდევ მოვა ჩემი ცუგრუმელა... და არ გაუშვებ სულ... გვიანაშდის. ამაღამ მისი მშობლები სხვაგან მიდიან. (მახაროხს ამოიღებს, წამოწევას ტანტზე ზირაღმა, თვალებს ჭერს მიახჭუნს და ფიქრებს)

**მისამე ოთახში:**

**ზეტრე.** (შეწვევით შეტყუანებს, მუცელზე ხელს მოიჭერს, წამოადგება) ოონ! კუჭი... კუ...ჭი, მშია... (დაჯდება) აბა როგორ უნდა ვიმეცადინო, როცა სამი დღეა თითქმის არაფერი ჩასულა ჩემს პირში! ვაი, ვაი, ვაი! (წამოადგება და ისევ დაჯდება) პური მინდა, ვის ვთხოვო ფული! წაეალ სტეფანეს ვთხოვ, მაგრამ არა! მისი მმართველ! გრიშას ვთხოვ, მაგრამ ის მოვრალია, გუშინ მიიღო ფული, და გუშინვე დახარჯავდა! მაშ ვის ვთხოვო! ევსევის, გიორგის? ამათ აქვთ, მაგრამ არ მასესხებენ. გრიშას, ნოეს? ესენი მასესხებენ მაგრამ არა აქვთ! ვაი, ვაი... მუცელი! (აღგება გაიფლავს) ზევ ეგ ზამენი მაქვს... მაგრამ აგრე მაცადინებომა ვანა შეიძლება? *Plenus venter non student libenter* მაძლარი მუცელი სწავლაზე ყრუა! ჩუ! ვილაც მოდის... ვინც უნდა იყოს, ვთხოვ მასესხოს... (აკაკუნებენ) შემოდით!

**(შემოდის მასპინძელი)**

**მასპ.** თუ შეიძლებაოდეს ოთახის ფული მიშოვებ!

**ზეტრე.** (მასპინძელთან ერთად) თუ შეიძლებაოდეს, მასპინძელი ერთი კვირით, ფული მასესხებ!

**მასპ.** თქვენ, ბატონო, თუ შეიძლება ოთახის ფული მოიტათ, თუ არა მიბრძანდით!

**ზეტრე.** ოთახის ფული? ხო... კი!.. კარგი... მოგცემ, მაგრამ ახლა არა... ახლა პურის ფულიც არა მაქვს!.. არ გექნებათ თქვენ ერთი მანეთი მასესხოთ და შემდეგ ერთი კვირისა...ერთად მო... გართ...

**მასპ.** (შეაწვევით) თუ ახლავ ოთახის ფული არ გიშოვიათ, იძულებული ვიქნები ოთახი სხვას მივაქირავო, ეს იცოლით! (გადის).

**ზეტრე.** (მაიფურთხებს) ფუი! რა ძალია! რა ვქნა?... ოთახიდან მაგდებენ, თანაც მშია...მცივა... სულ...ვილაც მოდის... (აკაკუნებენ) შემოდით.

**(შემოდის ზეტრეს ახს. ვანა).**

**ზეტრე.** (ორივე ერთად ერთმანეთს კითხავენ) **ვანა.** ბიჭო? ზიმშილით ვკვდები ფული ხომ არ გაქვს?!

**ზეტრე.** (მუცელზე ხელს იღებს). ვაი შენს პეტრეს. ბიჭო კუჭი მიხმება, კუჭი...

**ვანა.** (მუცელზე ხელს იღებს) ეჰ, შენთან ხერი არ არის! დღეს, მთელი დღე დავდივარ...ვერსად ვიშოვე...მშვიდობით... ვივლი კიდევ, სანამ სული მიდგა! თუ ვინმემ მასესხა, გამოგივლი! ხო, ბიჭო, ახალი ამბავი იცი? ქუთაისის თავდაზნაურობას უკვე დაუნაწილებია სტიპენდიები, ჩემთვის ვარი უთქვამთ, როგორც მდიდარისთვის. გრიშასთვის კი დაუნაწილდა.

**ზეტრე.** რას ამბობ კაცო! მაგრამ ვანა შენც გქონდა იმედი? სტიპენდიების განმანაწილებელ კომისიაში მამა შენი ერია?

**ვანა.** არა!

**ზეტრე.** ბიძაშენი?

**ვანა.** არა!

**ზეტრე.** შენი ძმა?

**ვანა.** არა.

**ზეტრე.** ბაბუაშენი?

**ვანა.** არა!

**ზეტრე.** მაშ რის იმედი გქონდა შე დალოცვილო.

**ვანა.** ვიცოდი ძმაო და იმისთვისაც არ გამკვირებია (გადის).

**მორე ოთახში:**

(გრიშა გადმობრუნდება, გადმოვარდება ტახტიდან, წამოაწევს თავს, ერთს დაინგნუებს და ისევ ჩაეძინება იატაკზე).

**პირველ ოთახში:**

**სტეფანე.** (წამოადგება) ახ! სად არის ნეტავ ამდენხანს? (აკაკუნებენ, ადებს კარს, შემოდის მისამასსახურე გოგო, ყავა შემოაქვს) ფუი!

**მას.** მართა. არ გენბავთ, ბატონო!

**სტეფ.** ხო, მანდ დადგი, გააწყვე სტოლი და წადი! (მართა გააწეობს სტოლს და წავა)

**(შემოდის ნატაშა)**

**სტეფ.** ახ, ჩემო ტურფავ! სადა ხარ ამდენხანს? (გადახვეწავს) შენს ლოდინში ლამის გული შემიღონდა (კონჩას).

**ნატაშა.** სტეფანე ჯან! ჩემი მშობლები ჯერ არ წასულან, ძლივს დაეუხსლტი ხელიდან.

**სტეფ.** აბა ნატაშა, ყავა დაასხი, დაელიოთ! **ნატაშა.** ჩვენ ეს არის ვისაუზმეთ!

**სტეფ.** მართალი ვითხრა არც მე მინდა, ყიამდის მაძლარი ვარ! აბა, ტუბილეულობა ვკამოთ. (მაწოდებს, ჭამენ).

**ნატ.** (დაჯდება სტეფანეს გვერდით). სტეფანე ჯან, ეს რა გიქნია, რამდენი რამ გიყილია, რა საჭირო იყო?!

**სტეფ.** (გადახვეწავს, აკრებს) აბა შენზე უკეთეს ვის ვუყიდი, ჩემო გვრიტო! აგერ რომ ვათავებ სულ იაღონსავით ვასაზრდოვებ. აბა ერთი გიჯარა დავალდინოთ. (გაღმოდებს გიტარას, უკრავს თან ამღერებს):

„Не уходи, побудь со мною,  
Здесь так отрадно, так светло,  
Я подлечуся покрою уста и очи и чело..  
Побудь со мною, побудь со мною!“

(გადახვეწავს, კონჩას ერთმანეთს; — შემდეგ სტეფანე გადასცემს გიტარას ნატაშას) ა, ახლა შენ დაუკარი და დაამღერე, ჩემო ნატო.

**ნატაშა.** (ამღერებს):

„Не уходи, побудь со мною,  
Я так давно тебя люблю..  
Тебя я лаской огневою  
И обожгу и утоблю!“

(კიდევ გადახვეწავს და კონჩას ერთმანეთს, ნატაშა ადებს გიტარას)



სტეფანე. (უგრავს და ამღერებს):

„He uходи побудь со мною,  
Пылаеть страсть въ моей груди  
Восторгъ любви насть ждетъ съ тобою,  
He uходи, не uходи!“

(ისმის გაკანასკნული ხმა ნატაშას დედისა: ნატაშა გამოუსხლტება სედიდან სტეფანეს და გაიქცევა)...

მისამი ოთახში:

ზეტრე. (წამოდგება) ოი, ოი, ოი! კუჭი, კუჭი... (დაჯდება) არა, მეტის მოთმენა არ შემძლია! ერთი კარგი აზრი მომივიდა, მოდი დავუძახებ მოსამსახურე გოგოს, შევხვეწივები და გავგზავნი მეპურესთან. შეიძლება იმან მაინც მადროვოს... (ეძახის) მართა, მართა!

(შემოდის მართა)

ზეტრე. ახ, მართა, ერთი შენ...

მართა. (შეაწვევტინებს, შვავსეთ) რა გინდათ, რას მეძახით! კიდევ არ დაგავიწყდათ ჩემი სახელი! ამდენ ხანს ვერ ფიქვით რომ მე თქვენ არ გემსახურებოთ, სანამ ფულს არ მომცემთ? ჯერ ფული მოიტათ და მერე დამიძახეთ! (შიდას).

ზეტრე. (თავისთვის) ოხ, დედაჩემო! (ეძახის) მართა, მართა! (მართა შემობრუნდება) მართა, დაცადე, მომისმინე... შენც ხომ ისეთი უსინდისო არა ხარ, როგორც ჩვენი ძენწი მსპინძელი! შედი გაკვირებულ კაცის მდგომარეობაში... სამ დღეზე მეტია სრულდებით არაფერი მიქამია... მადროვე კიდევ ერხანს... ფული თუ მომივიდა, ხომ იცი, პირველად შენ მოგცემი!..

მართა. ხო, კარგი, კარგი! რა გინდათ, რისთვის მეძახოდით?

ზეტრე. რასთვის? იცით რა? მიმეგზავნე ერთხელ კიდევ მეპურესთან, ჩადი და უფხარი მადროვოს ერთი კვირით კიდევ და... ახლა ხუთი... პური გამოიმეგზავნოს ნისიათ!..

მართა. როგორ ხუთი?..

ზეტრე. ხო... ხუთი... გირვან...ქა!

მართა. მერე ხუთი გირვანქა რა ამბავია?

ზეტრე. ხუ...თი უთუოდ... ხუთი დღეა არაფერი მიქამია.

მართა. ხო კარგი, კარგი. (შიდას).

ზეტრე. (მამახებს) იქნებ მედუქნემაც მადროვოს... და... შაქარი, ჩაი, ნავთი...

მართა. (ხმა სიცილით) ხო, იქნებ კიდევ გინდა რაზე?

ზეტრე. (მუცელზე ხელს დაიდებს) ახლა ნუ გეშინია მუცელი, გამაგრდი! (დაჯდება სტოლთან და დაწვეებს შეტანისას) უპ, რა ცივა!.. ნეტავ ამდენხანს შემას რათ არ აგზავნის ეს ჩემი მყრალი ხაზინი? ვაი, თუ სულ არ გამოგზავნოს? (მოისურავს სახანს და დაჯდება) მართას რაღა დემართა... ჩუ... კიდევ მოდის. შემოდი მართა! შემოდი! (მოვარდება კარებთან).

(შემოდის მეპურე)

ზეტრე. (თავში ხელს იტეხს) ვ...ვ...ვ...აააა! (მეპურეს) მობრძანდით!.. დაბრძანდით! თქვენ, შეიძლება ერთ კვირას კიდევ მადროვოთ...

მეპურე. (შეაწვევტინებს) თქვენ თუ შეიძლება, ფული მოიტათ ეხლავე! (ამოიღებს დაფათს) თქვენც ეხნარჯია ცხრა მანეთის პური.

ზეტრე. (დადონებული) ცხრა მანეთის პური!!! ოხ, რა კარგია, აქ რომ მქონდეს ეხლა... თქვენ ბ-ო მეპურე! ყური მიგდეთ! ფულს უსათუოდ მოგცემთ, ოღონდ... დღეს... თუ შეიძლება, ხუთი გირვანქა...

მეპურე. (შეაწვევტინებს) თქვენ, თუ შეიძლება, ფული ეხლავე მოიტათ, თუ დღეს არ მოგიციათ ამ საღამოს უსათუოდ გირვილებთ! (შიდას).

(შემოდის მართა, შემოაქვს ჰატარა პურის ნაჭერი)

მართა. მეპურემ არ განისიავა, არც შემეღუქნემ, ააა, (აძლევეს პურს) ეს მე გამოვართვი! (გადას)

ზეტრე. ესეც კარგია (ხარბათ ჭამს), ნახევარი კი ვანოს უნდა შევეუნახო! (ინახავს ნახევარს) ოხ, რა მცივა!..

(მეორე ოთახში, კრიშთან მოსმსახურე ბიჭს ალექსის შეაქვს შუა და ფეხში ცეცხლს ახოებს).

კრამა. (გამოაღვიძებს გულ-მოსული წამოვარდება, მივარდება ალექსისთან, მოკიდებს კისერში ხელს, როცა ის კეკელთანაა, შეიბლს კეკელზე შარტეშევიებს) შე პირძაღლო, რათ არ მაცლი ძილს! რას ჩადიხარ ამ ოთახში!

ალექსა. უკაცრავათ, მაპატივეთ, ჩემი ბრალი არ არის ღმერთმანი!

კრამა. ხმა გაკმინდე, აქედან გაეთრიე!

ალექსა. ეხლავე ბატონო (დახურავს ფეხის კარს და ბაჭ).

(დასასრული იქნება)



ნუ მიცქმრ, საბრფოვ!...

ნუ, ნუ მიცქმრ, სატრფავ, დამილით!  
ნუ მიკამკამებ ყუყუნა თვალეს.  
ნუ მანებოგრებ, ალერსით ტკბილით  
მხოლოდ გულს მასებ გამაწარავ ბრჭვალეს!  
ნუ, ნუ აღმიძრავ ტუეილ იმედებს  
ნანატრ სიტყვების ტბილ მოსვენების!  
არ ვიცი, კვლავ რა წამომაკეთებს,  
რომ დღეს მოგესწრო თავისუფლების!  
აქ გერ ვხვლავ მის ტბილ-მოხვენებს!  
განქრა... წვედადი დამესულარა.  
ფრთა შეეგვება ღაღსა ოცნებას  
და გულს დახნდა მწველი იარა.



იქ, სადაც ვეძებ ვარდსა და იას,  
 გხვდება ეკალი ქაცვ-გაბასრული!  
 ვერ ვუშვავადები ცხოვრების ტრიალს,  
 შებოროტადი ვარ და გაბაწრული!..  
 ჩემთვის არც მზეს და აღარც მთვარე,  
 თვალბის სჭკუტავს ბედის ვარსკვლავი,  
 დღეს გულის კენკის, აღრე მგზნებარე  
 და უღონოთ ძირს ეშვება მკლავი!..  
 ვერც მეგობარი, ვერც ამხანაგი,  
 ვერვინ მინელებს მწარ-გულის ძეგრას.  
 შეკრთენ სიმები! სუსტდება ჩანგი  
 და სწუვებთ ის თავის სახმო უღერას!..

იქ კი... როდესაც ციფა სამარე  
 გულში ჩამიკრავს და მიმიბარებს,  
 მივაივიშებს გარს არე მარე  
 და დამოფრქვევენ ცრემლით ნიაღვარებს!..  
 მაგრამ რათ მინდა ცრემლი და გლოვა,  
 თუ უსულო ვარ მარტოა ღეში,  
 როცა ტანჯვები და ფიქრთა გროვა  
 გულს მიწამლავენ ამ სიცოცხლეში?!  
 არა, ნუ მიტქერ, სატროფო, დიმილით!  
 ნუ მიკამკამებ უუყუნა თვალბის!  
 მაგ მოფერებით, აღერსით ტუბილით  
 უფრო მიჩადებ მწველ ნაქვერჩხვლებს!..  
 ნ. ზომლეთელი.



## დაბა-სოფლები.

**თელავი.** ისე აგვესოვთ ყოველივე დოვლათით  
 ოჯახი, აქაური ციხე აღსავსე იყოს ყოველგვარი  
 კატეგორიის ტუსაღებით. აი თუნდა მოისმინეთ:

„სამოცი კაცის აღაგას  
 ორასს გვითმობენ ბინასა...  
 სენი გავზირდა ათასი,  
 ვერ ვღირსებდითარო ქინასა“.

სანატრელი მდგომარეობა რომელ ციხეში ყო-  
 ფილა, რომ მაინცა და მაინც აქ იყოს, მაგრამ ზო-  
 განადაქარბება იციან ხოლმე. აი თუნდა მოის-  
 მინეთ:

შინ განამზადებ საქმელსა,  
 სალსა და ნაყოფიერსა  
 ჩვენთან არავინ მოუშვებს  
 გვტოვებენ ხახა მშიერსა.

და განა მარტო ესა? კიდევ სხვა ათასი უმჯო-  
 ბეს ამისა, მაგრამ ხომ გაგიგონიათ თევზის ამბავი?  
 თევზსა შეჭკითხეს კალმხსა:  
 — „რათ ხარ მღუმარე ასეო?“  
 — „ბარემც ბევრია სათქმელი,  
 პირი მაქვს წყლითა სავსეო“

ა—ლი.

**დაბა სამტრედია.** ჩვენი ვაქრობის კაცთ-მო-  
 ყვარეობა მთელ ქვეყანაზე ცნობილია. რამდენი  
 ხანია ესენი კვირა-უქმე დღეობით ვაქრობის მოს-  
 ბობაზე ზრუნავენ, მაგრამ არ იქნა და არა, ნოქ-  
 რებმა არ შეისმინეს: ჩვენ არ შეგვიძლია კვირა  
 დღის თავისუფლება მივიღოთო. ხედავ ამას და  
 უნებლიეთ ფიქრობ:

„რა კარგია კარგი აღა  
 კარგ საქმეზე აგებული  
 უქმესა და საქმის დღეზე  
 დუქნის კარზე გაღებული!

**იქიდანვე.** ყოველივე სიმართლეს მოკლებუ-  
 ლია ის ხმები, თითქო აღგილობრივი სკოლის  
 მასწავლებელ ქალებს ჩხუბი მოსვლოდეთ.

„მხოლოდ ის კია მართალი  
 რომ მათ არ დაუღბინესა  
 და რაღაც მოსაზრებებით  
 სხვა მხარეს გააფრინესა.

სა—ნა.

### ოზურგეთი.

მო ყური უგდეთ მოძმენო  
 უსმინეთ ყვავსა ყვანჩაღსა  
 რა რეჩი უთქვამს ოზურგეთს  
 რიკოკი სიტყვა ქაჩაღსა:

მას ჟამსა შინა, ოღესაც  
 დასრულდა არჩევანები,  
 ჩაშავდენ ოზურგეთისა  
 „მოზბერ-გულიჯანები“,

წამოველინა ტრიბუნას  
 ვით ცისარტყელა ფერადი,  
 გურიის „ძეთა მახინჯთა“  
 უკვე ცნობილი ბელადი.

და მოჰყვა: „ყოზილარებო,  
 მაწანწალებო თქვენაო,  
 გინდათ დამხოთ ვასილმა  
 რაც ქალაქს აუშენაო,

გრცხვეროდეთ! თქვენთან არ გაღი-  
 არც ჩემი ტუბილი ვნაო,  
 არც აფთიაქის უბნიდან  
 ქანქართა წამოშენაო



არც ღეკანოზის ქადაგი,  
 აღარც ღემეტრეს კბენაო,  
 არ გწამთ სამშობლო ქვეყანა  
 აღარც მეუფე ზენაო.

მიიიპასქნა ყრილობას  
 მოხუცმა სიტყვა-კეთილმა,  
 და დაუტოვა დარბაზი  
 კირშიგან გადაცვეთილმა.

ყვავი.

**ეწერი.** ჩვენი მწერალი გერმანე ძლიერ მოი-  
 ქანცა მოზღვავებულ საქმეთაგან. ახლა კანცელა-  
 რიაში ჯდომაც აღარ ყოფნის და გადის ქუჩაში  
 რადგან:

შველის მცველებსა,  
 ებრაელებსა,  
 ის უფათურებს ბარგში ხელებსა  
 და თავის ნებით,  
 არა ბრძანებით  
 საქმესა თვისსა გაიძნელებსა.

ჩო—კა.

**ს. ყაზბეგი.** გვაკმარეთ რედაქტორებო,  
 რაც რომ ვითმინეთ ღღემდინა,  
 ღღეს კი აღივსო ფიალა  
 და კიდევ გადაედინა.

შორს ვართ მთაში მივარდნილი და ჩვენს სო-  
 ფლის თავუნებს გონიათ: ვხრავთ, ვხრავთ, ხალის  
 ჯიბეს, ხმას მაინც ვერავენ ამოიდებსო. ჩვეულებ-  
 რივი ამბავია ჩვენში სოფლის ფულების შეიპასქნა  
 და მშრალათ გამოსვლა.

აი თუნდ ჩვენი მიხელა,  
 და მისი მოძმე ნიკოლა,  
 ნახეთ სასოფლო ქანქარი  
 რამდენი გამოიყოლა.  
 ან აღი-ბეგი იაგორც  
 ხომ მათი მინაგვარია?  
 თავს იქ შეარგობს უცილოდ  
 საღ ღია დახვდეს კარია,  
 მუსრი გაავლო ბატებსა  
 მოსპო იხვი და ვარია...

ხმას ვერავენ გასცემს რადგან ეწინიათ და არის  
 კიდევაც საშიშარი.

ვის აქვს თავი  
 მოსაკლავი?

პაფორი.

**შორაპანი.** შორაპნელ მოქალაქესა  
 განცხრომით ჩაეძინება  
 რომ არ ისმოდეს ღუქნებზე  
 პეტრე მკედელის გინება.

ახირებულია თთქვენმა მზემ! ყველაფერსა აქვს  
 ზომიერება და ამას კი არავითარი. იქნებ მისი წა-  
 ხედულობით ახლა მათემაც ააყოლა ჰანგი.

შორაპნელი ბზიკი.

**მუხიანი.** „ეშმაკის მათრახის“ სულის-მოსა-  
 ხსენებლათ პანაშვიდი გადინადეს მუხიანისა და  
 ოფშქვითის ვაქარ-ბანკის ტებმა. უზომოა მწუხარება  
 მათი. იმედი აქვთ მალე მოუსწრობს მეორეთ მო-  
 სვლა და მკედრეთით აღდგომა „ეშმაკის მათრახისა“.

**ფოთი.** ცხოვრება ასე ტრიალებს:  
 ღღეს ღამე მოსდევს მუღამა,  
 ფოთის ტრამვაის არტელიც  
 გადაიტანა მადამა.

ქოიავას და ქასრაძეს  
 მოუნდათ პირის ტკბუნება...  
 (კეთილ ცხოვრებას მიელტვის  
 ყოველი კაცის ბუნება).

ტრამვაის კასას ქვეშიდან  
 ფარული ხერელი აღინეს,  
 და მუნით წყარო ქანქართა  
 სიუხვით გამოადინეს.


როცა იგრძნო არტელის კასამ წყაროთა და-  
 შრეტილობა და აღნიშნულ პარებზე ეჭვი მიიტანა,  
 ისინი განსისხდენ ვითარცა იუპიტერი და სამედი-  
 ტორო სამართალი მოითხოვეს.

შემოკრბა „სულიც“—განსაჯეს  
 რაინდთა ნამოქმედარი,  
 და გამოირკვა გაფლანგულ  
 შვიდასიოდე ქანქარი.

ამბობენ,—ხათრით შეუმცირეს, თორემ გასა-  
 ვალი არც ასე პატარა იყოფო. ვინ იცის, ყველა-  
 ფერი მოსალოდნელია \*).

ფოთელი ღვენილი.

\*) სამსჯავროს ამხანაგურსა  
 ასე სჩვევია ფაფხური,  
 რომ განაჩენში არ დასწვას  
 არც მწვადი, არცა შამფური.  
 ეშმაკი.





# ლეკუები

**მუთისი.** ქალაქის გამგეობამ ხოლერის მოლოდინისა გამო სასტიკათ აკრძალა რიონის წყალის ხმარება. სამაგიეროთ მსურველთ უფასოთ დაეთმობათ კიბულა და ლაღის წყალი. თუ ესეც ცოტა იქნება, მაშინ მოქალაქეთ შეუძლიათ იმ წყლის მიღებით ისარგებლონ, რომლის მოწყობასაც ინჟ. მიხაილოვი აპირებდა და რომლის გეგმაც ქალაქის გამგეობაში ინახება.

**ზიათურა.** შავი ქვა კლებულობს, შავი დღე მატულობს, საბჭო ერთ დონეზეა.

**ბათუმი.** სახალხო უნივერსიტეტი ქართული ეკლესიის ნანგრევებში აპირებს ბინის მოწყობას. ლექტორებს სტამბოლიდან იწვრენ.

**სოხუმი.** ქალაქის გამგეობამ ერთხმით დაადგინა ასესხოს ლონდონის მუნიციპალიტეტს შარშანდელი წლის წმინდა შემოსავლიდან 2 მილ. გირ. სტერლინგში. „ძმა მძისთვისაო, შავ დღისთვისაო“!

**ფოთი.** როგორც ამბობენ, ბ-ნს ნიკოლაძეს განუზრახავს აღძრას დუმის წინაშე თხოვნა ფოთში გამვლელ-გამომვლელ მგზავრებზე საფუთო გადასახადის შემოდების შესახებ. ამ ფულებით განზრახულია ფოთისა და ოზურგეთის არხით შეერთება, რათა გაადვილდეს პირველიდან მეორეში ზაფხულობით ტარანაის გადაზიდვა.



„მათრახის“ ფოსტა

**თელავი.** აღის. სიამოვნებით დაგებულადვით თქვენს წერილს, მაგრამ...

**მუთისი.** სერყვას. თქვენი ლექსი „კარზე მადგას სალდათობა“ კარგია და საღვთისცაა, მაგრამ ვერ დავებუდეთ ვინაიდან სახელსა და გვარს არ აწერთ. მართალია, ასეთი ბუმბერაზების გადაკიდება მძიმე საქმეა, მაგრამ...

**ბათუმი.** კოდარას. თუ საჭიროა იქნება რედაქცია თითონ გაცნობებთ. კარიკატურა არ დაიბეჭდება.

**ნათანაზი.** შუბს. თქვენი წერილი მიშა ნაკაშიძისა და ვექსილგების შესახებ ჯერ-ჯერობით ვერ დაიბეჭდება. საჭიროა ადგილობრივ საქმის გამოძიება.

**ხოცი.** რკოს. თქვენი წერილი ადგილობრივ მოღვაწეთა შესახებ, ერთობ ვრცელია ჩვენი გაზეთისათვის და აგრეთვე თითონ მოღვაწეთათვისაც. „ჩიტი ზღვრათ არ ღირდაო და ღვერა მეტი იყოო“, ამბობს ანდაზა.

## წერილი რედაქციის მიხართ.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ შევეითხოთ „ეშმაკის მათრახის“ ყოფილ რედაქციას და დამიმოწმეთ, რომ ს. დიდიჯიხაიშიდან გამოგზავნილი „გამოცანა“ დენილის ფსევდონიმით და კორესპოდენცია ვლ. ლორთქიფანიძის შესახებ „გლეხის შვილი პ. ს.“ ფსევდონიმით მე არ მეკუთვნის. სხვათა შორის, უფალი მანუჩარ ლორთქიფანიძე ირწმუნება: „მე წერილი მივიღე რედაქციიდან, რომ ავტორი ალექსანდრე ვაშაქიძეა“. ახლა გთხოვთ განუმარტოთ უფ. უ. ლორთქიფანიძეებს, რამდენათ მართალია მათი ბრალდება ჩემდამი.\*)

ალ. ვაშაქიძე.

\*) **პასუხი.** არც ერთი ზემო აღნიშნული წერილი ალ. ვაშაქიძეს არ ეკუთვნის და არც მანუჩარ ლორთქიფანიძესთან „ეშმაკის მათრახის“ რედაქციას არავითარი მიწერ-მოწერა არა ჰქონია.

ეშმაკის მდივანი.

## ყოველ-კვირეული სახუზარო შურნალი

# მათრახი

გამოდის ყოველ კვირაობით, როცა ეს მოსახერხებელი იქნება.

წელიწადში შურნალი ღირს 5 მან. წლის დამლევაზე 2 მან.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები უკანასკნელ გვერდზე სტრიქონი 20 კ.

ფული გამოიგზავნება შემდეგ ადრესზე: **Ред. „Матрахи“ Теофили Ерастовичу Болквадзе.**

## მოითხოვეთ ყველგან

**მ. ლალიძის** და ამსახავობის საუკეთესო ქარხნის წყალი!

გემო და არომატი მშვენიერი აქვს.

ქარხანასთან დეკორატიული მცენარეებით ლამაზათ მორთული აივანია, სადაც შეიძლება ყინულივით ცივი წყლის სმა.


ქარხანა იმყოფება გოფთების ზრთსექტზე, მანთაშევის სსხლში. ტელეფონი 411. (13—12)

## იყიდება „ეშმაკის“ მათრახის

გასული წლის ყველა ნომრები (1—13) ერთად შეკერილი. ფასი 1 მ. 30 კ.

მსურველთ დაბა-სოფლებშიც გაეგზავნება ვინც ღირებულ ფასს გამოგზავნის რედაქტორის სახელზე.





ბათუმის ქართული ეკლესია.

ენახე ტაძარი...

ენახე ტაძარი  
 ბათუმად მდგარი,  
 ქვით და ცემენტით  
 გაუმადღარი.

რადგან ქანქარი  
 მისთვის არ არი,  
 ოცი წელია  
 შვამდე დამდგარი...

მუნ მოსჩანს ჯვარი,  
 ქვით მონაქარი,  
 კედლებზე მკირე  
 მომადლოთ მდგარი.  
 და საყდრის კარი,  
 ძელ ანაკარი,  
 თხათა ჯოგისგან  
 მკვიდრ არს საფარი.

ენახე რა აგი  
 მღვდელთ ნაამაგი,  
 ქველ-მოქმედური  
 მყის გრძნობა შვამი  
 გულს დამებადა,  
 და რაც მებადა  
 წამსვე გავეცი  
 მოწყალებება.

დავკარ ნალარა  
 და ეშმაკთ ჯარი  
 სწრაფად შგმოკრბა  
 სწორ უზოვარი.

ნაცადი ხელით,  
 თან გული წრფელით,  
 შეუდგენ საქმეს  
 ღვთისა სახელით.

ადის კედელი  
 თვალ უწვდენელი...  
 სასწაულს ახდენს  
 ეშმაკთა ხელი.

ხოლო მოძღვარსა,  
 მუნ ახლო მდგარსა,  
 სანახაობა  
 თავს დასცემს ზარსა

და გაქრა ისა,  
 ვით შეველი მთისა,  
 რამაც ჩვენ უფრო  
 წაგვახალისა.

ეშმაკი.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ბოლქვაძე